საქართველოს მთავრობის

დადგენილება №34

2026 წლის 27 იანვარი

ქ. თბილისი

„ხორცში ტრიქინელას სახელმწიფო კონტროლის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 დეკემბრის №575 დადგენილების ნაწილის შეჩერების თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, 2028 წლის პირველ მარტამდე შეჩერებულ იქნეს „ხორცში ტრიქინელას სახელმწიფო კონტროლის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 7 დეკემბრის №575 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 09/12/2021, 240110000.10.003.023131) დამტკიცებული „ხორცში ტრიქინელას სახელმწიფო კონტროლის სპეციალური წესის“ მოქმედება, გარდა ამავე წესის მე-8, მე-9, მე-10, მე-12 მუხლებისა და №4 დანართისა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2026 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**